განმარტებითი ბარათი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“
ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“
რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, დაკავშირებულია იმ ხარვეზების შესავსებად, რომელიც რეგლამენტში არის მოცემული. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში მომხდარი ცვლილების შესაბამისად, პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არ საჭიროებს პარლამენტის თანხმობას. რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით აღნიშნულ თანხმობას აუცილებლად მიიჩნევს.

რეგლამენტის 57-ე მუხლი ადგენს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესს. მოცემული მუხლის პირველი პუნქტი მითითებას აკეთებს რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელის თანახმადაც, თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომიტეტის წევრთა მინიმალური ოდენობის ორი მესამედის დანიშვნიდან 7 დღის ვადაში. საგულისხმოა რომ აღნიშნული ნორმის გავრცელება დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის არჩევნებზე შეუძლებელია, ვინაიდან განსხვავებულია კომისიისა და კომიტეტის დაკომპლექტების წესები. იგივე შეეხება სხვა დროებითი კომისიის თავმჯდომარის არჩევნებსაც. აქედან გამომდინარე არის განპირობებული პროექტის შემოთავაზებული ცვლილებებიც.

რეგლამენტით არ არის აგრეთვე გათვალისწინებული თუ ხმების რა რაოდენობა იმისათვის საჭირო, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადარჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვალოს. ანალოგიური ვრცელდება სხვა დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადარჩევის საკითხზეც.

საქართველოს კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამხედრო ძალების რაოდენობას საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, კანონით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. რეგლამენტის შესაბამისად კი – კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე განიხილება 3 მოსმენით. გამომდინარე იქიდან, რომ „სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი 3 მოსმენით განხილვისას შეიცავს უცვლელ ციფრებს, მიზანშეწონილია ამ კანონპროექტის განხილვა და მიღება მოხდეს ერთი მოხმენით.

რეგლამენტით ასევე არ არის გათვალისწინებული იმ პარლამენტის წევრთა მიმართ ფინანსური სანქციები, რომლებიც საკითხის განხილვისას პლენარულ სხდომაზე თანამომხსენებლებს წარმოადგენენ.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

რეგლამენტის პროექტის მიზანს წარმოადგენს რეგლამენტის ცალკეული ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა და ზემოაღნიშნული საკითხების რეგლამენტაცია.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

რეგლამენტში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და რედაქციული ხასიათის ცვლილებების შეტანა.

დ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

რეგლამენტის პროექტს მოსალოდნელი ფინანსური შედეგებია არ გააჩნია.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

აღნიშნული პროექტი არ აწესებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობას.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ არის მიმართებაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

არ არის მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნა საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის მოსაზრებები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო არგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში:
რეგლამენტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.
დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:
საქართველოს პარლამენტის წევრის ხათუნა გოგორიშვილი.